



სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი

**ეთნიკურ უმცირესობათა სკოლების მასწავლებლების
თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა
პროფესიული განვითარებისა და კარიერული
ზრდისათვის**

პოლიტიკის დოკუმენტი

შალვა ტაბატაძე

ნათია გორგაძე

რედაქტორი: კახა გაბუნია

თბილისი,
ივნისი, 2015 წელი

დოკუმენტი შემუშავებულია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ განხორციელებული პროექტის „ქალთა გაძლიერება თანასწორობისთვის“ ფარგლებში
პროექტის დონორი - გაეროს ქალთა ფონდი

სარჩევი

1. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა და არაქართულენოვანი სკოლები	2
2. მასწავლებელთა სერტიფიცირება, პროფესიული განვითარება და მომავალი მასწავლებლების მომზადება /არაქართულენოვანი სკოლების პრობლემატიკა	3
ა. მასწავლებელთა სერტიფიცირება	5
ბ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება	9
გ. არაქართულენოვანი სკოლების საკადრო პრობლემები	11
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემა და არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა შესაძლო პრობლემები	23
4. ალტერნატიული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები	28
მომავალი მასწავლებლების მომზადება	29
ცხრილები და დიაგრამები	30
ცხრილები	30
დიაგრამები	30

1. საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა და არაქართულენოვანი სკოლები

საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა. საქართველოს მოსახლეობის 15,2% ეთნიკურ უმცირესობებს წარმოადგენს. საქართველოში ორი დიდი - სომხებისა და აზერბაიჯანელების - ეთნიკური ჯგუფი სახლობს. სომხები შეადგენენ მოსახლეობის 5,7%-ს, ხოლო აზერბაიჯანელები - საქართველოს მოსახლეობის 6,5%-ს. აზერბაიჯანელები ძირითადად ქვემო ქართლსა (საქართველოს სამხრეთი ნაწილი) და შიდა ქართლში არიან განსახლებულნი. აზერბაიჯანულენოვანი მოსახლეობა, რომელიც ცხოვრობს შიდა ქართლსა და ქვემო ქართლში, მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. თუნდაც ის ფაქტია მნიშვნელოვანი, რომ შიდა ქართლისა და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა ეთნიკური ჯგუფი ზოგად განათლებას იღებენ განსხვავებულ ენებზე (შიდა ქართლში - ქართულად, ქვემო ქართლში - აზერბაიჯანულად).

სომხები ძირითადად სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლის რეგიონიდან - წალკის რაიონში არიან კომპაქტურად განსახლებულნი (საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი). უმცირესობათა შორის ისინი მეორე ადგილზე არიან აზერბაიჯანელების შემდეგ.

კომპაქტური განსახლების გარდა, საქართველოში გვხვდება ისეთი ეთნიკური ჯგუფების დისპერსიული განსახლებები, როგორებიცაა: რუსები, ბერძნები, უკრაინელები, პოლონელები, ქურთები, იეზიდები, ებრაელები, ასირიელები, აგრეთვე ჩრდილო-კავკასიურ ენათა წარმომადგენლები: ქისტები, ჩეჩნები, ლეკები, უდიები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვა.

საქართველოს ეთნიკური მრავალფეროვნება ასახულია საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაშიც. საქართველოში ქართულენოვანი სკოლების გვერდით ფუნქციონებენ სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი და რუსულენოვანი სკოლები და სექტორები. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოში არაქართულენოვანი სკოლების რაოდენობა საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 10,22% შეადგენს, მათი რაოდენობა სულ 213-ია მთელი საქართველოს მასშტაბით. 213 საჯარო სკოლის გარდა, საქართველოში 77 არაქართულენოვანი ენობრივი სექტორიც ფუნქციონებს. დეტალური ინფორმაცია არაქართულენოვანი სკოლებისა და სექტორების შესახებ ქვემოთ მოყვანილ ცხრილებშია წარმოდგენილი:

ცხრილი 1: არაქართულენოვანი საჯარო სკოლები რეგიონების მიხედვით, 2013 წელი

რეგიონი	აზერბაიჯანული	რუსული	სომხური	სულ
აჭარა				0
თბილისი	1	2	1	4
იმერეთი				
კახეთი	4	1		5
სამეგრელო-ზემო სვანეთი				
სამცხე-ჯავახეთი		4	96	100
ქვემო ქართლი	80	4	20	104
სულ	85	11	117	213

ცხრილი 2: არაქართულენოვანი სექტორები რეგიონების მიხედვით

რეგიონი	ქართული, აზერბაიჯანული	ქართული, რუსული	ქართული, რუსული, აზერბაიჯანული	ქართული, რუსული, სომხური	ქართული, სომხური	სულ
აჭარა		6			1	7
თბილისი	1	9	1	5		16
იმერეთი		1				1
კახეთი	6	3			1	10
სამეგრელო-ზემო სვანეთი		3				3
სამცხე-ჯავახეთი		1		2	5	8
ქვემო ქართლი	21	8	2		1	32
სულ	28	31	3	7	8	77


არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობა, განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის მონაცემების მიხედვით, 6830 მასწავლებელია, რაც საქართველოს მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 11,4%-ია, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა დაახლოებით 60000-ია, რაც საქართველოს მოსწავლეთა საერთო რაოდენობის 10,7%-ია. შესაბამისად, არაქართულენოვანი სკოლები, არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეები და არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის სერიოზულ სეგმენტს წარმოადგენენ და მნიშვნელოვანია ამ სეგმენტთან დაკავშირებით მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკის გატარება.

2. მასწავლებელთა სერტიფიცირება, პროფესიული განვითარება და მომავალი მასწავლებლების მომზადება /არაქართულენოვანი სკოლების პრობლემატიკა

არაქართულენოვანი სკოლები, მათი მოსწავლეები და სკოლების მასწავლებლები მნიშვნელოვან სეგმენტს წარმოადგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში. მოკლედ მიმოვიხილავთ არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს:

საქართველოში არაქართულენოვანი სკოლების ძირითადი ნაწილი განთავსებულია ეთნიკური უმცირესობების კომპაქტური განსახლების რეგიონებში - ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში. ამ სამი რეგიონის არაქართულენოვან სკოლებში მთლიანობაში 6830 მასწავლებელია დასაქმებული. რეგიონების მიხედვით მასწავლებელთა გადანაწილება ასე გამოიყურება:


დიაგრამა 1: არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები რეგიონების მიხედვით:



კახეთი	426
სამცხე/ჯავახეთი	2576
ქვემო ქართლი	3828

ასევე, საინტერესოა ამ სამი რეგიონის არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა სქესობრივი სტრუქტურა. საქართველოს მასწავლებელთა საერთო რაოდენობას თუ ავიღებთ, მამაკაცთა ხვედრითი წილი მხოლოდ 16%-ს შეადგენს. ამ თვალსაზრისით, უკეთესი ვითარებაა არაქართულენოვან სკოლებში, სადაც მამაკაცი მასწავლებლების რაოდენობის ხვედრითი წილი შედარებით მაღალია და 24,45%-ს შეადგენს, ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონებში. დეტალური ინფორმაცია არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სქესობრივი სტრუქტურის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ მე-2 დიაგრამაზე:

დიაგრამა 2. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სქესობრივი სტრუქტურა




ქალი	5160
მამაკაცი	1670

საინტერესოა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკობრივი სტრუქტურაც და მათი გადანაწილება რეგიონების მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა 3 დეტალურ ინფორმაციას იძლევა არაქართულენოვანი სკოლების ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ

რეგიონების მიხედვით. ამ საკითხს დეტალურად გავაანალიზებთ პოლიტიკის დოკუმენტის პრობლემათა ანალიზის ნაწილში.

დიაგრამა 3. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკობრივი სტრუქტურა



არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ზოგადი დემოგრაფიული დახასიათების შემდეგ, მოკლედ მიმოვიხილავთ არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სერტიფიცირების, პროფესიული განვითარების, მასწავლებელთა დეფიციტისა და მომავალი მასწავლებლების მომზადების პრობლემატიკას:

ა. მასწავლებელთა სერტიფიცირება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 4 დეკემბრის N#1101 ბრძანებით დამტკიცდა მასწავლებელთა სერტიფიცირების დებულება, რომელიც განსაზღვრავდა მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის ჩატარების, მასწავლებლობის უფლების მოპოვების, სერტიფიკატის გაცემის, მასწავლებლობის უფლების განახლებისა და სერტიფიცირებული მასწავლებლის სტატუსის ვადამდე ჩამორთმევის პირობებს. დებულების შესაბამისად, საგამოცდო პროგრამა ეფუძნებოდა დამტკიცებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას და დამტკიცებულ მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტს. სასერტიფიკაციო გამოცდა შედგებოდა შინაარსობრივი და უნარების ნაწილისაგან. სასერტიფიკაციო გამოცდა ჩაბარებულად ითვლებოდა შინაარსობრივი და უნარების ნაწილის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში.

სასერტიფიკაციო გამოცდის შინაარსობრივი ნაწილი ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ შემდეგ საგნებში: ა) ქართული ენა და ლიტერატურა (აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – აფხაზური და ქართული); ბ) მათემატიკა; გ) საზოგადოებრივი მეცნიერებები: გ.ა) ისტორია; გ.ბ) გეოგრაფია; გ.გ) სამოქალაქო განათლება; დ) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები: დ.ა) ფიზიკა; დ.ბ) ქიმია; დ.გ) ბიოლოგია; ე) უცხოური ენები: ე.ა) ინგლისური; ე.ბ) გერმანული; ე.გ) ფრანგული; ე.დ) რუსული; ვ) ფიზიკური, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის საგნები: ვ.ა) ხელოვნება; ვ.ბ) მუსიკა.; ვ.გ) ფიზიკური აღზრდა. აქვე აღსანიშნავია, რომ 2010-2014 წლებში ყველა ზემოჩამოთვლილ საგნებში გამოცდა არ ჩატარებულა.

სერტიფიცირების დებულების მიხედვით, სასერტიფიკაციო გამოცდა უნდა ჩატარებულიყო ქართულ ენაზე, ხოლო აფხაზეთში - აგრეთვე აფხაზურ ენაზე, ხოლო მასწავლებლობის იმ კანდიდატებისათვის, რომელთაც სურთ ასწავლონ შესაბამის არაქართულენოვან სკოლაში - რუსულ, სომხურ ან აზერბაიჯანულ ენაზე.

2014 წლის ბოლომდე მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასვლის უფლება მიენიჭათ იმ მოქმედ მასწავლებლებს, რომელთაც ჰქონდათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი ან წარმატებით ჰქონდათ გავლილი მაძიებლობის პერიოდი, აგრეთვე იმ პირებს, რომელთაც ჰქონდათ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მუშაობის სულ მცირე 1 წლის სტაჟი, მიუხედავად იმისა, სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასასვლელად რეგისტრაციის მომენტისთვის იყვნენ თუ არა ისინი მოქმედი მასწავლებლები. ამ დრომდე, სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, ამ პუნქტით განსაზღვრულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული განათლებასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეთვლებოდათ დაკმაყოფილებულად. დებულების მიხედვით, დეტალურადაა გაწერილი სასერტიფიკაციო გამოცდის პროცედურები.

პირველი სასერტიფიკაციო გამოცდა ჩატარდა 2010 წლის ზაფხულში.

2009-2013 წლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შემდეგი ღონისძიებები განახორციელა:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და აკრედიტაციის ცენტრთან ერთად, შეიმუშავა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამული აკრედიტაციის წესები და სტანდარტები. შემუშავდა პროგრამული აკრედიტაციის ჩატარების დებულება. ამ დებულების შესაბამისად, 2008 წლის დეკემბერში იურიდიულ პირებს აკრედიტაციის მისაღებად პროგრამების წარმოდგენის შესაძლებლობა მიეცათ. შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებზე მომუშავე პირებისთვის პროგრამის დახასიათების სახელმძღვანელო, ჩატარდა კონკურსი და შეირჩნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები. 2008 წლის დეკემბრიდან დაიწყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაცია. სულ მონაწილეობა მიიღო 32 ორგანიზაციის 255-მა პროგრამამ. აქედან აკრედიტაცია გაიარა 26 ორგანიზაციის 172-მა პროგრამამ. 2009 წლიდან განათლების და მეცნიერების სამინისტრომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებისთვის ქართული ენის, მათემატიკისა და უცხო ენის (ინგლისურის) მასწავლებელზე გამოყო ვაუჩერი 4 კრედიტის ოდენობით (2 - პროფესიული უნარების, 2 - საგნობრივი პროფესიული განვითარების პროგრამებისთვის).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა სერტიფიცირების პროცესში მასწავლებელთა დასახმარებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა. 2008 წლიდან გამოდის ჟურნალი "მასწავლებელი", რომელიც საკმაოდ კარგი რესურსია პედაგოგებისთვის. ამასთანავე, 2008 წელს გამოიცა მასწავლებელთათვის სერტიფიცირების პროცესში დამხმარე სახელმძღვანელოს სამი ნაწილი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა აგრეთვე

ინტერკულტურული განათლების სახელმძღვანელოც, რამეთუ ინტერკულტურული და ბილინგვური სწავლების მოთხოვნა ასახულია მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობით ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ფინანსური მხარდაჭერით, მოხერხდა ჟურნალ “მასწავლებლის” 12 ნომრისა და მასწავლებელთა დამხმარე სახელმძღვანელოების სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე თარგმნა 1290 ტირაჟით. მათი გამოცემა და არაქართულენოვანი სკოლებისთვის დარიგება 2008-2011 წლებში. ამავე პროექტის ფარგლებში შეიქმნა სამენოვანი (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული) ვებპორტალი www.ganatileba.ge, რომელზეც უმცირესობათა ენებზე ხელმისაწვდომია განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ ინფორმაცია და აგრეთვე ნებისმიერი მეთოდური სახელმძღვანელო, სასწავლო გეგმა თუ მასწავლებლის სტანდარტი, ისევე, როგორც სამართლებრივი აქტები. ჟურნალის, დამხმარე სახელმძღვანელოებისა და ვებპორტალის თარგმნა არ მომხდარა რუსულ ენაზე და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის რუსულენოვანი სკოლებისთვის. 2011 წელს არაქართულენოვანი სკოლის დირექტორებისთვის ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანამშრომლობით, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ითარგმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული სკოლის დირექტორის სტანდარტი და „დამხმარე სახელმძღვანელო სკოლის დირექტორთათვის“. აღსანიშნავია, რომ 2011 წლიდან, მას შემდეგ, რაც თარგმანი აღარ ხორციელდებოდა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლების მხრიდან, მასწავლებელთათვის დამხმარე რესურსების თარგმნის პროცესი შეწყდა და არაქართულენოვანი სკოლებისთვის დამხმარე მეთოდური ლიტერატურა მშობლიურ ენაზე ხელმისაწვდომი აღარ არის. თუმცა, 2015 წელს განახლდა თარგმნის პროცესი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ახალ სქემასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ითარგმნა სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, მასწავლებელთა მომზადებისა და სერტიფიცირების თვალსაზრისით, შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში:

(1) სერტიფიცირების დებულების მოთხოვნათა მიუხედავად, სასერტიფიკაციო გამოცდა არ ტარდებოდა უმცირესობათა მშობლიურ ენებზე, რაც, ერთი მხრივ, მოტივაციას უკარგავთ მათ - არ ხდება მათი პროფესიული განვითარება, მასწავლებლები დისკრიმინირებულად მიიჩნევენ თავს, რადგან ვერ სარგებლობენ სერტიფიცირებასთან დაკავშირებული სარგებლით. არსებული სტატისტიკა ცალსახად მიუთითებს როგორც სერტიფიცირების მსურველთა მცირე რაოდენობაზე, ისე სერტიფიცირებულთა ძალიან დაბალ მაჩვენებელზე. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სერტიფიცირების მსურველ მასწავლებელთა დაბალ შედეგებზე, რადგან მათმა უმრავლესობამ ვერ გადალახა სასერტიფიკაციო გამოცდების მინიმალური ზღვარი.

ცხრილი 3: კომპაქტური განსახლების რეგიონებში არსებული არაქართულენოვანი სკოლების სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირებულ მასწავლებელთა მონაცემები, 2010-2013 წლები:

ქალაქი	2013	2012	2011	2010	სულ
ასპინძა	0	0	4	2	6
ახალქალაქი	5	3	3	3	14
ახალციხე	11	13	3	2	29
ბოლნისი	9	16	4	3	32
ბორჯომი	1	1	3	0	5
გარდაბანი	17	25	12	3	57
დმანისი	6	33	5	1	45
თეთრიწყარო	3	9	2	3	17
მარნეული	27	62	18	13	120
ნინოწმინდა	4	7	0	1	12
წალკა	6	9	17	6	38
ჯამი	89	178	71	37	375

სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირებულთა რაოდენობა ძალიან დაბალია ამ სკოლებში მასწავლებელთა რაოდენობასთან შეფარდებით. ამასთანავე, საინტერესოა, რომ დარეგისტრირებულთაგან მხოლოდ 5%-მდე შეძლო სერტიფიცირების გამოცდის ჩაბარება და მასწავლებლის სტატუსის მოპოვება. მათი რაოდენობა კომპაქტური განსახლების რაიონებში მხოლოდ და მხოლოდ 29 მასწავლებელია. ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები ნათელს ხდის მასწავლებელთა სერტიფიცირების მიმართულებით არსებულ სერიოზულ პრობლემებს არაქართულენოვან სკოლებთან მიმართებით.

ცხრილი 4: არაქართულენოვან სკოლებში სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა (გარდა ქართულის პედაგოგებისა):

ქალაქი	2013	2012	2011	2010	სულ
ახალციხე	0	0	1	0	1
გარდაბანი	2	1	0	0	3
დმანისი	0	1	0	0	1
ბოლნისი	1	1	0	0	2
მარნეული	9	0	1	0	10
რუსთავი	0	4	3	1	8
წალკა	0	1	0	0	1
ახალქალაქი	8	0	0	0	8
ნინოწმინდა	3	0	0	0	3
ჯამი	23	8	5	1	37

(2) 2010 წელს შემუშავდა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლის სტანდარტი და ბილინგვური მასწავლებლის სტანდარტი, თუმცა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მხოლოდ 2013 წლიდან დაიწყო ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა სერტიფიცირება; რაც შეეხება ბილინგვური მასწავლებლების გამოცდებს - ამ მხრივ პროცესი შეჩერებულია, რაც

არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების პროცესის სერიოზულ შემაფერხებელ გარემოებად შეიძლება იქცეს.

როგორც ზემოთ ითქვა, ქართულის, როგორც მეორე ენის სერტიფიცირებულ მასწავლებლებთან მიმართებით იყო საკმაოდ სერიოზული პრობლემები: ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებმა სერტიფიცირება გაიარეს ქართულის, როგორც მშობლიური ენის მიმართულებით, რადგან ქართულის, როგორც მეორე ენის გამოცდა არ ტარდებოდა გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ და სახელმწიფოს არ მოუთხოვია ამ მასწავლებლებისთვის საკუთარი კომპეტენციის ამ გამოცდით დადასტურება. 2012 წლის ბოლოდან ამ მასწავლებლებს შეუწყვიტეს სერტიფიცირების დანამატი იმ მოტივით, რომ მათ სერტიფიცირება გავლილი ჰქონდათ ქართულში, როგორც მშობლიურ ენაში და ასწავლიდნენ სხვა საგანს - ანუ ქართულს, როგორც მეორე ენას. ეს პრობლემა ნაწილობრივ გადაიჭრა და 2013 წლიდან ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებს საშუალება აქვთ, ჩააბარონ გამოცდა ამ მიმართულებით და მიიღონ დანამატი.

(3) არ არსებობს სომხური ენისა და აზერბაიჯანული ენის, როგორც მშობლიური ენების, არც სასკოლო და არც მასწავლებლის სტანდარტი, შესაბამისად, მშობლიური ენის მასწავლებლებს არ გააჩნიათ არც პროფესიული განვითარების და არც სერტიფიცირების შესაძლებლობა, რაც, ერთი მხრივ, უარყოფითად მოქმედებს სასწავლო პროცესის ხარისხზე და, მეორე მხრივ, დისკრიმინაციულია ამ საგნების მასწავლებელთა მიმართ, რომლებსაც არ აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ მასწავლებლის სერტიფიცირებასთან დაკავშირებული დანამატითა თუ სხვა სოციალური სარგებლით.

ბ. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფუძნა საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ცენტრმა რეფორმის ფარგლებში შემდეგი საქმიანობები განახორციელა:

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შემუშავდა მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტი, აგრეთვე საბაზო/საშუალო საგნობრივი სტანდარტები რვა საგნის/საგნობრივი ჯგუფისთვის. შემუშავდა დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებული სტანდარტის თარგმნა მოხდა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც, რომლის 900 ეგზემპლარი დარიგდა არაქართულენოვან სკოლებში და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში. მიუხედავ ამ ღონისძიებებისა, არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა კონტექსტში, მათი პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, სხვადასხვა მიმართულებით კონკრეტული პრობლემები წარმოიჩინდა, კერძოდ:

(1) პროფესიული განვითარება და კერძო პროვაიდერები

პროფესიული განვითარების პროგრამები ხელმისაწვდომი არ არის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებისთვის, რადგან, როგორც კერძო პროვაიდერები, ისე მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგები ტარდება სახელმწიფო ენაზე. სახელმწიფო ენის მცოდნე საგნების მასწავლებლები კომპაქტური განსახლების რაიონებში ძალიან მცირეა. შესაბამისად, კომპაქტური განსახლების რაიონებში არაქართულენოვანი სკოლების საგნების მასწავლებლებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში, რაც, თავის მხრივ, აისახება სასწავლო პროცესის ხარისხზე და მოსწავლეთა აკადემიურ და კოგნიტურ განვითარებაზე.

(2) სახელმწიფო პროვაიდერი/მასწავლებლის სახლი

საგულისხმოა, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემებით, არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები არ მონაწილეობენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროგრამებში, მიუხედავად იმისა, რომ ეს პროგრამები ღიაა და მათზე დარეგისტრირება შეუძლიათ როგორც ქართულენოვან, ასევე არაქართულენოვან მასწავლებლებს, არაქართულენოვანი სკოლებიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინფორმაციით, ისინი ამ ტრენინგებში მონაწილეობას არ იღებენ. მეტიც, სკოლებში რეალურად არსებობს ინფორმაციული ვაკუუმი ყველა იმ სიახლესა და ღონისძიებასთან დაკავშირებით, რომელიც განათლების სისტემაში არსებობს.

თავისთავად, აქვე დგება პედაგოგების პროფესიული გადამზადების საკითხი, რომელიც მასწავლებლის საგნობრივი კომპეტენციებისა და ცოდნის გაუმჯობესებასა და განახლებას გულისხმობს. იმ შემთხვევაში, თუ პედაგოგი დაკავებულია რამდენიმე სხვადასხვა საგნის სწავლებით, ცხადია, რთულია განისაზღვროს, თუ რომელ საგანში უნდა აიმაღლოს მან ცოდნა ან ეფექტურად იყოს ჩართული მასწავლებელთა განვითარების სქემაში.

მონაცემების თვისებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ერთი და იგივე პედაგოგი 3 ან 4 საგანს ასწავლის სკოლაში, ეს საგნები არ წარმოადგენენ საგნობრივი ჯგუფის ნაწილს და ხშირად ერმანეთთან პრაქტიკულად არ არიან დაკავშირებულნი.

(3) სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, 2013 წელს სულ 1395 პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა ცენტრის მიერ სკოლის ბაზაზე ორგანიზებულ პროფესიული განვითარების ტრენინგებში საქართველოს ყველა რეგიონიდან. საგულისხმოა, რომ ამ ტრენინგებში სულ 4 არაქართულენოვანი სკოლიდან 28 პედაგოგი იყო ჩართული.

გ. არაქართულენოვანი სკოლების საკადრო პრობლემები


პროფესიულ განვითარებასთან და სერტიფიცირების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების გარდა, არაქართულენოვან სკოლებში სეროიზულად დგას მასწავლებელთა საკადრო პრობლემა რამდენიმე მიმართულებით: (1) მასწავლებელთა „დაბერების“ პრობლემა, რომელთა ჩართვაც პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში პრობლემატურია; (2) სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მასწავლებელთა დეფიციტი და ასაკი; (3) ქართული ენის მასწავლებელთა პრობლემა, რომლებიც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას; (4) კონკურენციის არარსებობა მასწავლებლებს შორის - უმაღლეს სასწავლებლებში მომავალი მასწავლებლების მოუძაადებლობის გამო. მოკლედ მიმოვიხილავთ თითოეულ ჩამოთვლილ პრობლემას:

(1) მასწავლებელთა „დაბერების“ პრობლემა

მასწავლებელთა ასაკი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მთელ საქართველოში, მაგრამ ის განსაკუთრებით მტკივნეულია არაქართულენოვანი სკოლებისთვის რამდენიმე მიზეზის გამო: (ა) არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკი ზოგიერთ რეგიონში საქართველოში არსებულ საშუალო მონაცემზე ბევრად მაღალია; (ბ) არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებს პრობლემა აქვთ სახელმწიფო ენის ფლობის თვალსაზრისით და სახელმწიფო ენის არცოდნა გავლენას ახდენს არაქართულენოვანი სკოლების საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე. ენის შესასწავლად კი ასაკი მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა; (გ) არაქართულენოვანი სკოლების რეფორმირების პროცესში ბილინგვური განათლების პროგრამების განხორციელება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რასაც ენობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მომზადებული მასწავლებლები ესაჭიროება. ენობრივი და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, მასწავლებელთა გადამზადება პრობლემატურია, რადგან მასწავლებლებს საპენსიო ან საპენსიოსთან მიახლოებულ ასაკში აღარ სურთ მსგავს ფუნდამენტურ რეფორმებში ჩართვა.


ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის არაქართულენოვან სკოლებში მასწავლებელთა 50,4% მასწავლებლების 51 წელს ზევითაა, ამასთანავე, 35 წლამდე მასწავლებელთა რაოდენობა მასწავლებელთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 22,8% შეადგენს. ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და კახეთის არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკობრივი გადანაწილება ქვემოთ წარმოდგენილ დიაგრამაზეა მოცემული:

დიაგრამა 4: მასწავლებელთა გადანაწილება ასაკის მიხედვით არაქართულენოვან სკოლებში



ასევე საინტერესოა მასწავლებელთა ასაკობრივი გადანაწილება რეგიონების მიხედვით. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ასაკოვანი მასწავლებლები სჭარბობენ ქვემო ქართლის რეგიონში, სადაც არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა 58,6%-ს ორმოცდაათ წელს გადაცილებული პირები შეადგენს, ხოლო 35 წლამდე მასწავლებელთა ხვედრითი წილი მხოლოდ 16,5%-ია, საპენსიო ასაკის მასწავლებელთა რაოდენობა მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 30%-ს აღწევს. ქვემოთ წარმოდგენილი დიაგრამა ასახავს ქვემო ქართლში მასწავლებელთა ასაკობრივ სტრუქტურას:

დიაგრამა 5: მასწავლებლების ასაკობრივი გადანაწილება ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში



შემამოთხებელია ის სტატისტიკა, რომელიც ასაკოვანი მასწავლებლების გადანაწილების კუთხით არის დაფიქსირებული უმცირესობათა სკოლებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში კარგად ჩანს ის ცალსახა ტენდენცია, რომელიც ქვემო ქართლის აზერბაიჯანულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკობრივი კუთხით ფიქსირდება. სტატისტიკის მიხედვით, არაქართულენოვან სკოლებში 36 მასწავლებელი 1923-1930 წლებშია დაბადებული. აქედან, 1 ასაკოვანი მასწავლებელი ფიქსირდება სამცხე-ჯავახეთში, 4 კი - კახეთის რეგიონში, დანარჩენი პედაგოგები ქვემო ქართლის რეგიონის სკოლებში არიან დასაქმებულნი. ნიშანდობლივია, რომ ასაკოვანი მასწავლებლებიდან 4 ქალბატონია, ხოლო დანარჩენები კი - მამაკაცები. 1928 წელს დაბადებული პედაგოგი ქვემო

ქართლიდან 5 განსხვავებულ საგანს ასწავლის, მათ შორის - სპორტსა და ქართულ ცეკვას. 1935 წელს დაბადებული მეორე პედაგოგი ბოლნისის რაიონიდან კი - 8 საგანს, მათ შორის ისეთ განსხვავებულ საგნებს, როგორებიცაა სპორტი, სახვითი ხელოვნება, მუსიკა, რუსული ენა, მშობლიური ენა, სამოქალაქო თავდაცვა და ა.შ.

ქვემოთ მოცემულია ცხრილი ასაკოვან პედაგოგთა საგნებისა და რეგიონების მიხედვით:

ცხრილი 5: ასაკოვან პედაგოგთა გადანაწილება საგნებისა და რეგიონების მიხედვით:

რეგიონი	რაიონი	ასაკი	სქესი	# საგანი	საგანი
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1923	კაცი	1	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1927	კაცი	2	ჩვენი საქართველო (V-VI კლასი) ისტორია (VII-XII კლასები)
ქვემო ქართლი	მარნეული	1928	კაცი	2	ისტორია (VII-XII კლასები) არჩევითი - ეკონომიკა და სახელმწიფო (XI-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1928	კაცი	3	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) სპორტი (I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	დმანისი	1928	კაცი	5	ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) მუსიკა (I-IX კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) სპორტი (I-XII კლასები) ქართული ცეკვა (IV კლასი)
ქვემო ქართლი	გარდაბანი	1928	კაცი	1	ისტორია (VII-XII კლასები)
ქვემო ქართლი	გარდაბანი	1929	კაცი	1	ისტორია (VII-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1929	ქალი	1	ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
სამცხე-ჯავახეთი	ახალქალაქი	1930	კაცი	2	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სამოქალაქო განათლება (IX-X კლასები)
ქვემო ქართლი	დმანისი	1931	კაცი	1	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
კახეთი	ლაგოდეხი	1931	კაცი	1	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	რუსთავი	1931	ქალი	2	ისტორია (VII-XII კლასები) არჩევითი - სახელმწიფო და სამართალი (XI-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1931	კაცი	1	ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1931	კაცი	1	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები)
ქვემო ქართლი	დმანისი	1931	კაცი	1	მათემატიკა (I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1931	კაცი	1	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)


ქვემო ქართლი	დმანისი	1932	კაცი	2	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სპორტი (I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	წალკა	1932	კაცი	2	მათემატიკა (I-XII კლასები) ფიზიკა (VIII-XI კლასები)
ქვემო ქართლი	მარნეული	1932	კაცი	1	მათემატიკა (I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	მარნეული	1933	კაცი	2	ისტორია (VII-XII კლასები) სამოქალაქო განათლება (IX-X კლასები)
ქვემო ქართლი	მარნეული	1933	კაცი	1	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1933	კაცი	2	ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) არჩევითი - სახელმწიფო და სამართალი (XI-XII კლასები)
ქვემო ქართლი	მარნეული	1933	კაცი	3	ჩვენი საქართველო (V-VI კლასი) არჩევითი - მსოფლიო კულტურა (X-XII კლასები) ისტორია (VII-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1933	კაცი	1	მათემატიკა (I-XII კლასები)
კახეთი	ლაგოდეხი	1934	ქალი	1	მუსიკა (I-IX კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1934	კაცი	1	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	დმანისი	1934	კაცი	2	მათემატიკა (I-XII კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	მარნეული	1934	კაცი	2	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (I, V, VI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	დმანისი	1935	კაცი	1	სპორტი (I-XII კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1935	კაცი	2	მათემატიკა (I-XII კლასები) ფიზიკა (VIII-XI კლასები)
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1935	კაცი	1	რუსული ენა
ქვემო ქართლი	ბოლნისი	1935	კაცი	8	ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები) მუსიკა (I-IX კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) სპორტი (I-XII კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (IV, VIII, XII კლასები)
კახეთი	ლაგოდეხი	1935	კაცი	2	მათემატიკა (I-XII კლასები) ბიოლოგია (VIII-XI კლასები)
ქვემო ქართლი	მარნეული	1935	ქალი	1	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)
კახეთი	ლაგოდეხი	1935	კაცი	2	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (IV, VIII, XII კლასები)

(2) სხვადასხვა საგნობრივი მიმართულების მასწავლებელთა დეფიციტი და ასაკი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი მასწავლებელთა დაბერების თვალსაზრისით გახლავთ სხვადასხვა საგნის მასწავლებელთა ასაკი. ამ თვალსაზრისით, საინტერესო ტენდენცია იკვეთება. ისეთი საგნების, როგორცაა - მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია - მასწავლებელთა ასაკი გაცილებით მაღალია სხვა საგნის მასწავლებლებთან შედარებით. ამ საგნების მასწავლებელთა 65%-ზე მეტი 50 წელს გადაცილებული მასწავლებელია. აქვე აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო საგნებში, „დაბერების“ გარდა, შეიმჩნევა მასწავლებელთა სერიოზული დეფიციტიც, მაგალითად, ხშირად საბუნებისმეტყველო საგნები შეთავსებული აქვთ სხვა საგნის მასწავლებლებს მასწავლებელთა დეფიციტის გამო

განათლების მართვის სისტემის მონაცემით, 2014 სასწავლო წელს არაქართულ სკოლებში 60 000-მდე მოსწავლე და 6830 პედაგოგი რამდენიმე საგანს ასწავლის სკოლაში და საგნობრივი დაყოფის მიხედვით, 15375 პედაგოგის ფუნქციას ასრულებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №04/ნ, (2013 წლის 29 იანვარი), საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ განსაზღვრავს, მასწავლებლის სამი ტიპის დატვირთვას, კერძოდ, ნაწილობრივი, სრული და სრულზე მეტი. აქედან, სრული დატვირთვა მიშნავს 36 სასკოლო სამუშაო საათს, საიდანაც საგაკვეთილო სამუშაო საათი არანაკლებ 18 საათისა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მასწავლებლების საკმაოდ დიდი ნაწილი რამდენიმე საგანს ერთდროულად ასწავლის არაქართულენოვან სკოლებში. ამასთან, საგნების რაოდენობა, რომელთაც ისინი ასწავლიან, რამდენიმე შემთხვევაში 9 საგანს აღწევს. ქვემოთ მოცემულია სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს მასწავლებლების რაოდენობას საგნების რაოდენობის სწავლების მიხედვით. საინტერესოა, რომ 129 მასწავლებელი 7 სხვადასხვა საგანს ასწავლის სკოლაში, 395 კი - 6 სხვადასხვა საგანს.

დიაგრამა 6: მასწავლებელთა გადანაწილება არაქართულენოვან სკოლებში სწავლების საგნების რაოდენობის მიხედვით



თუ ამ სტატისტიკას გავანალიზებთ, ცალსახაა, რომ არაქართულენოვან სკოლებში პედაგოგიური კადრების დეფიციტი იმაზე მეტია, ვიდრე ეს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით ჩანს. ის, რომ ერთი და იგივე მასწავლებელი რამდენიმე, ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელ

საგანს ასწავლის, მიანიშნებს საგნის არაკომპეტენტური პედაგოგის მიერ სწავლებაზე, რაც, რეალურად, საბოლოო ჯამში, მოსწავლეების განვითარებასა და მიღწევებზე აისახება.

ამ კონტექსტში წარმოგიდგენთ რამდენიმე კონკრეტულ მაგალითს მეტი თვალსაჩინოებისთვის:

ცხრილი 6. ერთი და იგივე მასწავლებელთა მიერ სწავლების საგნების კონკრეტული მაგალითები

მასწავლებლის კოდი რეგიონი რაიონი	საგნების რაოდენობა	საგნების ჩამონათვალი
T33 კახეთი, ახმეტა	2	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (I, V, VI კლასები) მუსიკა (I-IX კლასები)
T2 33 კახეთი, ლაგოდეხი	2	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) ფიზიკა (VIII-XI კლასები)
T 242 კახეთი, ლაგოდეხი	2	ბიოლოგია (VIII-XI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები)
T1579 სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი	2	ინგლისური ენა ქიმია (VIII-XI კლასები)
T1107 სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი	3	რუსული ენა ფიზიკა (VIII-XI კლასები) ქიმია (VIII-XI კლასები)
T132 კახეთი, ლაგოდეხი	4	მათემატიკა (I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) ფიზიკა (VIII-XI კლასები) ქიმია (VIII-XI კლასები)
T 242 კახეთი, ლაგოდეხი	4	გეოგრაფია (VII-XI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები) საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საფუძვლები (VII კლასი) ქიმია (VIII-XI კლასები)
T1198 სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი		ბიოლოგია (VIII-XI კლასები) ისტორია (VII-XII კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) ჩვენი საქართველო (V-VI კლასი)
t34 კახეთი, ახმეტა	5	გერმანული ენა მათემატიკა (I-XII კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) სპორტი (I-XII კლასები)
T1204 სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი	5	ბიოლოგია (VIII-XI კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) რუსული ენა

		სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) ქიმია (VIII-XI კლასები)
t6016 ქვემო ქართლი მარნეული	6	ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები) მუსიკა (I-IX კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) სპორტი (I-XII კლასები)
T815 სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი	7	არჩევითი - ეკონომიკა და სახელმწიფო (XI-XII კლასები) ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები) მუსიკა (I-IX კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) ქართული ცეკვა (IV კლასი)
T1281 სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი	7	ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (I, V, VI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები) მუსიკა (I-IX კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) ფიზიკა (VIII-XI კლასები) ჩვენი საქართველო (V-VI კლასი)
t2139 სამცხე-ჯავახეთი ნინოწმინდა	8	არჩევითი - თეატრალური კვლევა (X-XII კლასები) ბიოლოგია (VIII-XI კლასები) ისტორია (VII-XII კლასები) მუსიკა (I-IX კლასები) საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება (XI კლასი) სამოქალაქო განათლება (IX-X კლასები) სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება (IV, VIII, XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები)

ცხრილიდან და ზოგადად - მასწავლებელთა მიერ სხვადასხვა საგნის ანალიზიდან ცხადად ჩანს, რომ ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის მასწავლებლობას ხშირ შემთხვევაში ითავსებს სხვა საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი. ამის მიზეზის დადგენა დამატებით კვლევას საჭიროებს, თუმცა, დიდი ალბათობით, ეს გამოწვეულია მასწავლებელთა დეფიციტით ამ საგნებში, რაზეც ღიად საუბრობენ რესურსცენტრებისა თუ სკოლების წარმომადგენლები.

მასწავლებელთა ნაკლებობაზე საუბრის საფუძველს იძლევა არა მხოლოდ მათი ერთმანეთისაგან განსხვავებული ერთდროული სწავლების მაგალითები და საათების დიდი რაოდენობა, არამედ ის არათანაბარი პროპორცია, რომელიც რეგიონში არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლების საერთო რაოდენობიდან საგნობრივად გადანაწილებაშია ასახული. ქვემოთ მოცემულია მასწავლებელთა გადანაწილება რეგიონებში რამდენიმე საგნის (ქართულის,

როგორც მეორე ენის, მშობლიური ენის, საბუნებისმეტყველო ჯგუფის საგნების, საზოგადოებრივი საგნების ჯგუფისა და მათემატიკის) მიხედვით.

ცხრილი 7: მასწავლებელთა გადანაწილება საგნობრივი ჯგუფების მიხედვით

	ქვემო ქართლი	კახეთი	სამცხე-ჯავახეთი
მასწავლებლების საერთო რაოდენობის პროცენტული გადანაწილება რეგიონების მიხედვით	55.02%	6.42%	38.56%
მასწავლებელთა საგნობრივი პროცენტულობა რეგიონში საერთო მასწავლებლების რაოდენობიდან			
ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)	7.0%	6.9%	6.2%
მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორისთვის, I-XII კლასები)	12.6%	12.7%	12.1%
ქიმია (VIII-XI კლასები)	1.8%	1.4%	2.0%
ფიზიკა (VIII-XI კლასები)	2.3%	2.1%	2.3%
ბიოლოგია (VIII-XI კლასები)	2.5%	2.0%	2.9%
ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები)	8.9%	9.2%	8.1%
გეოგრაფია (VII-XI კლასები)	2.3%	2.2%	2.4%
ისტორია (VII-XII კლასები)	3.8%	2.7%	3.4%
სამოქალაქო განათლება (IX-X კლასები)	2.2%	1.5%	2.0%
ჩვენი საქართველო (V-VI კლასი)	2.0%	1.6%	1.7%
მათემატიკა (I-XII კლასები)	12.1%	11.8%	11.4%

ცხრილიდან თვალსაჩინო ხდება, რომ მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან კონკრეტულ საგანზე გადანაწილება არ არის თანაბარი სამივე რეგიონისათვის. ასე, მაგალითად, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა რაოდენობა სამცხე-ჯავახეთში მასწავლებელთა საერთო რაოდენობის ნაკლები პროცენტია, ვიდრე ქვემო ქართლსა და კახეთში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებელთა ამგვარი გადანაწილება ვერ იქნება დაკავშირებული მოსწავლეების რაოდენობასა და რეგიონის სკოლის სპეციფიკაზე, რადგან მონაცემები რეგიონში არსებულ მასწავლებელთა საერთო რაოდენობის N პროცენტია. ასევე, თვალსაჩინოა, რომ ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა პროცენტული გადანაწილება კახეთის რეგიონის მასწავლებელთა საერთო რაოდენობიდან ნაკლებია სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში იმავე საგნის მასწავლებელთა პროპორციისა.

(3) ქართული ენის მასწავლებელთა პრობლემა, რომლებიც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას

საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებელთა მსგავსად, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა დეფიციტიც ცალსახაა არაქართულენოვან სკოლებში. ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა მონაცემების ანალიზისას, გვხვდება სკოლები, სადაც ამ საგნის სწავლებას სხვა საგნის მასწავლებელი ითავსებს, ქვემოთ წარმოგიდგინთ კონკრეტულ მაგალითებს:

ცხრილი 8: ქართულის, როგორც მეორე ენის სხვა საგნის მასწავლებლის მიერ სწავლების კონკრეტული მაგალითები:

მასწავლებლის კოდი რეგიონი რაიონი	საგნების რაოდენობა	საგნების ჩამონათვალი
T54 კახეთი, დედოფლის წყარო	2	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის, I-XII კლასები) ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის, I-XII კლასები)
T123 კახეთი, ლაგოდეხი	3	სამოქალაქო განათლება (IX-X კლასები) ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის, I-XII კლასები) ჩვენი საქართველო (V-VI კლასი)
T1045 სამცხე-ჯავახეთი, ახალქალაქი	2	გერმანული ენა ქართული, როგორც მეორე ენა
T447 სამცხე-ჯავახეთი, ასპინძა	3	გერმანული ენა ინგლისური ენა ქართული, როგორც მეორე ენა
T 1161 სამცხე-ჯავახეთი /ახალქალაქი	4	მუსიკა (I-IX კლასები) მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის, I-XII კლასები) სპორტი (I-XII კლასები) ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის, I-XII კლასები) ბუნებისმეტყველება (I-VI კლასები) მათემატიკა (I-XII კლასები)
T283 კახეთი საგარეჯო	6	მშობლიური ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის, I-XII კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (I-IX კლასები) სპორტი (I-XII კლასები) ქართული, როგორც მეორე ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის, I-XII კლასები)

ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა დეფიციტის პრობლემას ემატება არსებული მასწავლებლების კვალიფიკაციის პრობლემა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებლებიდან, დაახლოებით 340 ქართული ენის მასწავლებელი თავად ვერ ფლობს სათანადოდ სახელმწიფო ენას და ამ დროს ასწავლის ქართულს, როგორც მეორე ენას. ეს ტენდენცია დასტურდება სხვადასხვა ორგანიზაციის, მათ შორის, „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ ჩატარებული პროფესიული განვითარების პროგრამებითაც. პროფესიული განვითარების პროგრამებში, რომლებიც გულისხმობდა ქართულის, როგორც მეორე ენის მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას ქართულის სწავლების მიმართულებით, სერიოზული პრობლემები ექმნებოდათ ამ მასწავლებლების დაბალი ენობრივი კომპეტენციის გამო. უფრო მეტიც, 2010-2011 წლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი გეგმავდნენ მეორე ენის სწავლების მიმართულებით ტრენინგების ორგანიზებას, თუმცა მასწავლებელთა დაბალი ენობრივი კომპეტენციის გამო, სწავლების

მეთოდის ნაცვლად, 340 მასწავლებელს ჩაუტარდა ენის სწავლების კურსები. სწორედ ეს მასწავლებლები ასწავლიან ამჟამად ქართულს, როგორც მეორე ენას. ამ მასწავლებლების პროფესიული განვითარების თვალსაზრისით, გრძელვადიან პერსპექტივაში სერიოზული ნაბიჯები არ გადადგმულა, არც ალტერნატიული ღონისძიებები ჩატარებულა გარდამავალი პერიოდისთვის. ეს პრობლემა კი კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება და ეს მასწავლებლები, თავიანთი არსებული კვალიფიკაციით, ამჟამადაც ასწავლიან არაქართულენოვანი სკოლის მოსწავლეებს.

(4) უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა მომზადება არაქართულენოვანი სკოლებისთვის

ამ თვალსაზრისითაც რამდენიმე სერიოზული პრობლემა იკვეთება: (ა) არ არსებობს უმცირესობათა სკოლებისთვის მშობლიური ენის მასწავლებელთა მომზადების პროგრამები, შესაბამისად, საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები აღარ ამზადებენ ამ საგნის მასწავლებლებს ამ ეტაპზე; (ბ) უმაღლეს სასწავლებლებში განათლების პროგრამებზე არ სწავლობენ სტუდენტები, რომლებიც პოტენციურად არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლები უნდა გახდნენ, ამის მიზეზი გახლდათ, ერთი მხრივ, მისაღები გამოცდების სისტემა 2005-2009 წლებში, ხოლო 2010 წლიდან დღემდე - მასწავლებელთა განათლების პროგრამის არაპრესტიჟულობა, რომელიც ვერ უზრუნველყოფს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში „კვოტირების სისტემით“ ჩარიცხული სტუდენტების მოზიდვას მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე.

მისაღები გამოცდების სისტემის რეფორმის პირველი წელი საკმაოდ ნეგატიური აღმოჩნდა ეთნიკური უმცირესობებისთვის. მაგალითად, 2005 წელს ახალქალაქიდან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მხოლოდ 2 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ნინოწმინდიდან – 1 და მარნეულიდან – 17. ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალი იყო ერთიანი ეროვნულ გამოცდების სისტემის შემოღებამდე არსებულ მაჩვენებელზე. 2006 წელს გატარებული ცვლილებების შედეგად, ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა რაოდენობა ოდნავ გაიზარდა. ქვემო ქართლიდან 25 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი, ხოლო ჯავახეთიდან ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა 31-მდე გაიზარდა. თუმცა, 2007 წელს ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობამ კვლავ იკლო, რაც ძირითადად განპირობებული იყო ახალქალაქში თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ჯავახეთის ფილიალისთვის აკრედიტაციის გაუქმებით. 2008 წლიდან განათლების და მეცნიერების სამინისტრო უფრო მკვეთრ ნაბიჯებზე წავიდა, რათა ეთნიკური უმცირესობების აბიტურიენტთა ხელშეწყობა მომხდარიყო. კერძოდ, ცვლილებები შევიდა ერთიანი ეროვნული გამოცდების დებულებაში და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს მიეცათ უფლება, ზოგადი უნარების გამოცდა ჩაებარებინათ სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც. 2008 წელს, ზოგადი განათლების რეფორმიდან გამომდინარე, ქართულენოვან სკოლებს არ ჰყავდათ კურსდამთავრებულები, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შანსები. ზემოთ მითითებული კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობამ გაზარდა ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე 2008 წელს დარეგისტრირებულ და ჩარიცხულ აბიტურიენტთა რაოდენობა. მაგალითად, სომხურ ენაზე უნარების ტესტირება გაიარა 113 აბიტურიენტმა და აქედან 46 აბიტურიენტი გახდა სტუდენტი (40,7%), ხოლო აზერბაიჯანულენოვანი ტესტი

ჩააბარა 250-მა აბიტურიენტმა, თუმცა მათგან მხოლოდ 29 გახდა სტუდენტი (11,6% - ტაბატაძე, გორგაძე, 2014). შესაბამისად, 2005-2009 წლებში არაქართულენოვანი სკოლის კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც ჩაირიცხნენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში არ აჭარბებდა 150 სტუდენტს, რაც მიზეზულ რაოდენობას წარმოადგენდა და მათგან კიდევ უფრო მიზეზული იყო მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე ამ სტუდენტთა გადანაწილება.

2010 წლიდან საქართველოს მთავრობა ახორციელებს საშეღავათო პოლიტიკას უმაღლეს სასწავლებლებში უმცირესობების მიღების კუთხით. ამ პოლიტიკის შედეგად მკვეთრად გაიზარდა ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთა რაოდენობა ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში და შესაძლებლობა გაჩნდა, განხორციელებულიყო მათი მოზიდვა მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე, თუმცა, 2010-2014 წლებში ამ მიმართულებით დამატებითი პოლიტიკა არ გატარებულა, რამაც ასახვა ჰპოვა სტუდენტთა მიერ საუნივერსიტეტო პროგრამების არჩევაზე. ქართული ენის ერთწლიანი პროგრამის გავლის შემდეგ, სტუდენტები ირჩევენ საბაკალავრო პროგრამას, რომელზეც აგრძელებენ სწავლას. 2014 წელს „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრმა“ ჩაატარა „კვოტირების სისტემის“ ეფექტურობის კვლევა. გთავაზობთ ამ კვლევიდან რამდენიმე ცხრილს, რომლებიც ნათელ წარმოადგენს ქმნიან უმაღლეს სასწავლებლებში მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე არაქართულენოვანი სკოლებისთვის მასწავლებელთა მომზადების კუთხით არსებული სავალალო სიტუაციის შესახებ. ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების მიერ საბაკალავრო პროგრამების არჩევანი ასე გამოიყურება უნივერსიტეტებისა და პროგრამების მიხედვით 2010-2013 წლებში:

ცხრილი 9- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები:

ფაკულტეტი/წელი	2011	2012	2013	სულ:	%
იურიდიული	25	38	36	99	15.3 %
ჰუმანიტარული	36	42	66	144	22.25%
სოციალურ-პოლიტიკური	6	16	26	48	7.43%
ბიზნესისა და ეკონომიკის	51	66	70	187	28.9 %
სამედიცინო	21	36	37	94	14.54%
ზუსტი და საბუნებისმეტყველო	13	20	24	57	8.8%
ტურიზმის საერთაშორისო სკოლა	3	15		18	2.78 %
სულ	165	223	259	647	100 %

ცხრილი 10- სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები:

ფაკულტეტი/წელი	2011	2012	2013	სულ:	%
იურიდიული	0	6	2	8	11,6
სოციალურ მეცნიერებათა, განათლებისა და ჰუმანიტარული	5	6	10	21	30,5
ბიზნესისა და ეკონომიკის	14	7	15	36	52.2

საბუნებისმეტყველო	0	3	3	4,3
ინფორმაციული ტექნოლოგიები			1	1
სულ	19	22	28	69

ცხრილი 11- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები:

ფაკულტეტი/წელი	2011	2012	2013	სულ:	%
სამართალმცოდნეობა	3	5	3	11	25
ინფორმატიკა	2	6	7	15	34
საერთაშორისო ურთიერთობები	1	0		1	2.3
ბიზნესის ადმინისტრირება/ეკონომიკა	2	3	4	9	20.5
მასობრივი კომუნიკაცია	2	1		3	6.8
სამშენებლო	1	0	2	3	6.8
ფარმაცია		2		2	4.6
სულ	11	17	16	44	

ცხრილი 12 ილიას უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები:

ფაკულტეტი/წელი	2011	2012	2013	სულ:	%
სამართალმცოდნეობა			3	3	5,66 %
სოციალურ მეცნიერებათა			3	3	5,66 %
ბიზნესის ადმინისტრირება	2		19	21	39,62 %
ჰუმანიტარული	3	4	11	18	33,96 %
სპორტის ფაკულტეტი/ფიზკულტურის მასწავლებელი	1				1,89 %
კომპიუტერული ინჟინერია/მათემატიკა			7	7	13,21%
სულ	6	4	43	53	

როგორც წარმოდგენილი ცხრილებიდან ჩანს, უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობაში სტუდენტები არ ირჩევენ მასწავლებელთა განათლების პროგრამებს (გამონაკლისია სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტი, სადაც გარკვეული რაოდენობა ირჩევს მასწავლებელთა განათლების პროგრამებს). მიუხედავად იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობების სტუდენტები უკვე სწავლობენ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, სახელმწიფოს მასწავლებელთა პროფესიაში მათი მოზიდვისთვის არაფერი გაუკეთებია და უმაღლეს სასწავლებლებში არც მზადდებიან არაქართულენოვანი სკოლის მომავალი მასწავლებლები.

3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემა და არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა შესაძლო პრობლემები

2014 წლის 28 მარტს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ცვლილებები შეიტანა მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტში. განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განხორციელდა მასწავლებელთა დაყოფა 4 კატეგორიად: (ა) I კატეგორია - პრაქტიკოსი მასწავლებელი; (ბ) II კატეგორია - წარჩინებული მასწავლებელი; (გ) III კატეგორია - მკვლევარი მასწავლებელი; (დ) IV კატეგორია - მენტორი მასწავლებელი. მასწავლებლის განახლებული სტანდარტის კვალდაკვალ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო მუშაობა მასწავლებელთა პროფესიაში შესვლის, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის დოკუმენტზე.

მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და წინსვლის სქემა ხელს უწყობს მასწავლებელს, გააუმჯობესოს საკუთარი პრაქტიკა, ეხმარება მას საჭიროებების დადგენაში, თვითშეფასების უნარის განვითარებაში. სქემით განსაზღვრული კატეგორიის მიღწევის საფეხურები შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო საფეხურებს:

- ა) პრაქტიკოსი მასწავლებელი;
- ბ) უფროსი მასწავლებელი;
- გ) წამყვანი მასწავლებელი;
- დ) მენტორი მასწავლებელი.

სქემაში ჩართვა ყველა მასწავლებლისთვის არის სავალდებულო. პროფესიული განვითარების თითოეული საფეხურის მიღწევა-შენარჩუნებისათვის მასწავლებელი შეფასდება სტანდარტით განსაზღვრული მიმართულებებით:

- სასწავლო პროცესი (სასწავლო გარემო, დაგეგმვა, სწავლება, შეფასება);
- პროფესიული განვითარება.

მასწავლებლები ახალი სქემის მიხედვით გადანაწილდებიან 2015 წლის სექტემბრიდან სხვადასხვა კატეგორიაში/საფეხურზე. ყველა მოქმედი არასერტიფიცირებული მასწავლებელი მიიღებს პრაქტიკოსი მასწავლებლის სტატუსს. ყველა სერტიფიცირებული მოქმედი მასწავლებელი გახდება უფროსი მასწავლებელი. ყველა სერტიფიცირებული მასწავლებელი, რომელსაც აქვს სადოქტორო ხარისხი და სკოლაში მუშაობის გამოცდილება და არის მოქმედი მასწავლებელი, მიიღებს წამყვანი მასწავლებლის კატეგორიას. მენტორი მასწავლებლის კატეგორიაზე რეფორმის პირველ ეტაპზე მასწავლებელთა განთესვა არ განხორციელდება.

მასწავლებლის შეფასებისათვის კარიერის თითოეულ საფეხურზე განსაზღვრულია ამ საფეხურის შესანარჩუნებელი და კარიერულ კიბეზე გადაადგილებისათვის აუცილებელი საქმიანობები და შესაბამისი კრედიტული, რომლებიც შეიმუშავა და დამტკიცა სახელმწიფო კომისიამ. ქვემოთ გთავაზობთ ცხრილს, სადაც შეჯამებულია სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების სქემა (ცხრილი მომზადებულია განათლების მკვლევრის ბატონ სიმონ ჯანაშიას მიერ, მოპოვებულია ვებ-გვერდიდან: <http://www.ganatilebisreforma.com/2015/02/blog-post.html?spref=fb>).

პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის მოთხოვნები

საწყისი სტატუსი	მიზნები	კრიტერიუმი											სულ კრედიტული	მაქსიმალური გადა (წლებში)	ალტერნატიული შედეგი
		საჩვენებელი/სამოდილო გაცეტილი - შიდა შეფასების	გარე შეფასება NAEC	კურსის გველა	საგნობრივი გამოცდის ჩაბარება	მასწავლებლის შეფასება / განვითარება	მასწავლებლის კონსულტორება	ფასილიტატორობა	სახსრული რეკონსტრუქციის / ლიტერატურის შექმნა	პრაქტიკული გველა	დამატებითი კრედიტები	სულ კრედიტული			
მენტორი	შენარჩუნება	5 (5)	X	X	X	3	2	2	3	X	15	30	5	წამყვანზე ჩამოკეციება	
წამყვანი	დაწინაურება	10 (10)	X	X	X	X	X	X	2	3	10	25	5	წამყვანის შენარჩუნება	
	შენარჩუნება	5 (5)	X	X	X	X	X	X	2	3	7	17	5	უფროსზე ჩამოკეციება	
უფროსი	დაწინაურება	6 (3)	5 (1)	X	X	X	X	X	X	2	6	19	4	უფროსის შენარჩუნება	
	შენარჩუნება	4 (2)	5 (1)	X	X	X	X	X	X	X	4	13	4	ხელმეკრულების შეწყვეტა	
პრაქტიკოსი	დაწინაურება	4 (2)	X	5	10	X	X	X	X	X	X	19	4	ხელმეკრულების შეწყვეტა	

* ფრჩხილებშია გაცეტილების რაოდენობა, რომელიც მასწავლებელმა უნდა ჩაატაროს შიდა/გარე შეფასების მისაღებად

სიმონ ჯანაშია 22.02.2015

მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის ცვლილებას მეტი სიცხადის შემოტანა შეუძლია სხვადასხვა საკვალიფიკაციო საფეხურზე მათ შესაფასებლად. მათ შორის - პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის სავალდებულო საგნობრივი გამოცდა დაეყრდნობა სწორედ ამ საფეხურის შესაბამის კომპეტენციებს. ასევე, ყოველ შემდგომ საფეხურზე მეოფი მასწავლებელი სწორედ ამ საფეხურის შესაბამისი კომპეტენციებით შეფასდება.

ახალი დოკუმენტის მიხედვით, შეფასება განხორციელდება შემდეგ დონეზე:

მასწავლებელს შესაძლებლობა მიეცემა, დააგროვოს კრედიტული საქმიანობების განხორციელების შესაბამისად. კრედიტულების დასაგროვებლად საქმიანობას და შესაბამის ქულას განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სქემასთან დაკავშირებით, განხორციელდა არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებლებთან შეხვედრები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში. მასწავლებლებთან ჩატარდა 16 სამუშაო შეხვედრა. აღნიშნული სქემის პრეზენტაციისას არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებთან

კონსულტაციების შედეგად, გამოიკვეთა სქემასთან დაკავშირებით შემდეგი რისკ-ფაქტორები და შესაძლო პრობლემები:

1. სქემის მიხედვით, არასერტიფიცირებული მასწავლებლები განთავსდებიან პრაქტიკოსი მასწავლებლების კატეგორიაში. არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა უმრავლესობა, როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან თვალსაჩინოა, არასერტიფიცირებულია და ისინი გახდებიან პრაქტიკოსი მასწავლებლები. პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვის კი კატეგორიის შესანარჩუნებლად ან ზედა საფეხურზე ასანაცვლებად აუცილებელია საგნობრივი გამოცდის ჩაბარება. საგნობრივი გამოცდა ტარდება მხოლოდ სახელმწიფო ენაზე. შესაბამისად, ეს მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისთვის. 3 წლის განმავლობაში ისინი ვერ შეძლებენ სახელმწიფო ენის დაუფლებას და სახელმწიფო ენაზე საგნობრივი გამოცდის ჩაბარებას, მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლებელია მათი საგნობრივი კომპეტენცია მართლაც მაღალი იყოს. შესაბამისად, ეს გამოიწვევს ამ მასწავლებლების პრაქტიკოსი მასწავლებლების კატეგორიის დაკარგვას და მასწავლებლის სტატუსის ჩამორთმევას.
2. პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის განსაზღვრულია სავალდებულო 19 კრედიტის დაგროვება, რომელთაგან 10 კრედიტი სავალდებულო საგნობრივ გამოცდას ეკუთვნის, 4 კრედიტი სკოლის შიდა შეფასებას, ხოლო 5 კრედიტი პროფესიული განვითარების პროგრამას. კრედიტების არსებული გადანაწილება და შეფასების შემოთავაზებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს მასწავლებელთა რეალურ პროფესიულ განვითარებას. შიდა სასკოლო შეფასების მექანიზმების ამუშავებაც, შეიძლება, პრობლემატური აღმოჩნდეს არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგთათვის სკოლებში არსებული საკადრო და პროფესიული რესურსებიდან გამომდინარე. ამასთანავე, პრაქტიკოსი მასწავლებლისთვის გათვალისწინებული 5 კრედიტიანი პროფესიული განვითარება არ არის საკმარისი, თუნდაც ამ მასწავლებელთა ენობრივი კომპეტენციების გათვალისწინებით და მათ პროფესიული განვითარების ენობრივ პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობებს არ იძლევა.
3. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის ახალი სქემა ითვალისწინებს შიდა სასკოლო შეფასებას, რაც გულისხმობს, რომ სკოლის შიგნით მოხდება მასწავლებლის შეფასება. ამ სისტემის ამუშავება შესაძლებელია, პრობლემატური იყოს არაქართულენოვან სკოლებში გარკვეული საგნების მიმართულებით, სადაც მასწავლებელთა სერიოზული დეფიციტია (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) და სადაც ხშირად ერთი მასწავლებელია მხოლოდ სკოლაში ან მასწავლებელი რამდენიმე სკოლას ემსახურება - შესაბამისი კადრების არარსებობის პირობებში. შესაბამისად, აქ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება როგორც შეფასების ვალიდობა, აგრეთვე ამ შეფასების, როგორც პროფესიული განვითარების რეალური ინსტრუმენტის ამუშავება.
4. წარმოდგენილი სქემა არ იძლევა სახელმწიფო ენაში პროფესიული განვითარებისა და შეფასების მექანიზმებს და მათ ასახვას მასწავლებელთა კარიერულ ზრდასა თუ წახალისებაზე.

5. არ არსებობს აზერბაიჯანული, სომხური და რუსული ენების, როგორც მშობლიური ენების, მასწავლებლის სტანდარტი. შესაბამისად, ამ საგნებში საგნობრივი გამოცდების ორგანიზება ვერ განხორციელდება. სტანდარტების შექმნის პირობებშიც კი, 2008-2014 წლების გამოცდილება აჩვენებს, რომ გამოცდებისა და შეფასების ცენტრი უარს ამბობს ამ მასწავლებლების გამოცდის ორგანიზებაზე - არასაკმარისი საკადრო რესურსისა და კომპეტენციის გამო - ტესტების შესადგენად და ტესტების ვალიდაციისათვის. შესაბამისად, მშობლიური ენის მასწავლებლებს არ ექნებათ შესაძლებლობა არათუ პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა განახორციელონ, არამედ შეინარჩუნონ არსებული კატეგორიაც კი, თუ მათზე დამატებით სხვა რეგულაციები არ გავრცელდება. ამასთანავე, მშობლიური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია არაქართულენოვან სკოლებში განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, მათ შორის - სახელმწიფო ენის სწავლების პროცესისა და შედეგების გამოსასწორებლად.
6. მნიშვნელოვანია მასწავლებელთა ასაკი, განსაკუთრებით ისეთ საგნებში, როგორებიცაა ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა, ბიოლოგია. ამ საგნების მასწავლებელთა 70% ორმოცდაათ წელს ზევითაა და, შესაბამისად, ამ ასაკის მასწავლებლებს არ გააჩნიათ პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის მოტივაცია და, ამასთანავე, არ არსებობს მათი ჩანაცვლების ინსტრუმენტები და საკადრო რესურსი. ამ საგნების მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში ჩართვის პერსპექტივები საკმაოდ სათუთაა. ეს საკითხები უფრო მძაფრია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გამოცდის ჩაბარება იგეგმება სახელმწიფო ენაზე; აგრეთვე - ახალი მასწავლებლის სტანდარტი ყველა მასწავლებლისგან ითხოვს სახელმწიფო ენის ცოდნას. ამის მიღწევა კი ამ ასაკის მასწავლებლებთან საკმაოდ პრობლემატურია. ამ ეტაპზე არ ჩანს ამ საგნებში ახალი საკადრო რესურსის მოზიდვის მექანიზმები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდისა თუ სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში ჩაიდოს ეს მექანიზმები.
7. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემა ითვალისწინებს გარე სასკოლო შეფასების ინსტრუმენტის ამუშავებას. 2008-2014 წლების პრაქტიკამ აჩვენა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო სერტიფიცირების უნიფიცირებული გამოცდის ჩატარებაც კი არაქართულენოვანი სკოლების სწავლების ენაზე, შესაბამისად, საეჭვოა, სახელმწიფომ გამონახოს შესაბამისი საკადრო რესურსი 6830 მასწავლებლის გარე შეფასებისთვის, თუკი ეს მასწავლებლები მიიღებენ წამყვანი მასწავლებლის კატეგორიას. თუმცა, ეს არსებული სისტემის პირობებში ნაკლებ მოსალოდნელია.
8. სქემის მიხედვით, გარე შეფასების კომპონენტი ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებლის ობიექტური შეფასებისთვის, ისევე, როგორც ეს ინსტრუმენტია პროფესიული განვითარებისთვის გარე შემფასებელთა უკუკავშირისა და რეკომენდაციების სახით... შეფასებისა და პროფესიული განვითარების ამ ინსტრუმენტს მოკლებულია არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა თითქმის 100%.

9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის ახალი სქემა ითვალისწინებს შიდა სასკოლო შეფასებას. ამ პროცესში უმნიშვნელოვანესი ხდება სკოლის დირექტორის როლი, რომელმაც უნდა წარმართოს და უხელმძღვანელოს მთელ ამ პროცესს. არაქართულენოვანი სკოლის ადმინისტრაცია შესაძლოა მოუმზადებელი აღმოჩნდეს ამ პროცესისთვის, რადგან ამ მიმართულებით სკოლების მომზადება ივარაუდება, თუმცა, ამ პროცესის განხორციელებაც იგეგმება სახელმწიფო ენაზე, ხოლო არაქართულენოვანი სკოლების დირექტორთა უმრავლესობა ვერ ფლობს სახელმწიფო ენას და, შესაბამისად, ამ მიმართულებით მათი პროფესიული განვითარება გარკვეულ პრობლემებთან შეიძლება იყოს დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის ახალი სქემის ეფექტურ დანერგვაზე სასკოლო დონეზე არაქართულენოვან სკოლებში.
10. არაქართულენოვან სკოლებში ისწავლება საგანი - ქართული, როგორც მეორე ენა. ამ საგანს ასწავლიან ძირითადად ქართული ენის ფილოლოგები, ამასთანავე, მათი ნაწილი სერტიფიცირებულია. სქემაში ჩართვის შემდეგ და წამყვანი მასწავლებლის კატეგორიაში განთესვის შემდგომ, შესაბამისი კრედიტების დაგროვებით, მათი გადასვლა მოხდება ზედა საფეხურზე. რა კატეგორია მიენიჭებათ ამ მასწავლებლებს, თუკი ისინი სამუშაოდ არაქართულენოვანი სკოლიდან გადავლენ ქართულ სკოლაში და იქაც ასწავლიან ქართულ ენას? ოღონდ როგორც მშობლიურ ენას, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სხვა საგანია... ქართულის, როგორც მეორე ენისა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის სტანდარტები - განსხვავებულია.

4. ალტერნატიული გადაწყვეტილებები და რეკომენდაციები

ქვემოთ ჩამოყალიბებულია ის ძირითადი რეკომენდაციები, რომლებიც პედაგოგთა რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემთა ანალიზს, მასწავლებელთა პროფესიული გადამზადების რეტროსპექტივასა და პოლიტიკის დოკუმენტების ანალიზს ეფუძნება:

1. აუცილებელია არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის მხარდასაჭერად ეფექტური მექანიზმის შემუშავება, რომელიც მათ მიერ სკოლის ბაზაზე ენის ინტენსიურ და რეგულარულ სწავლას უნდა ითვალისწინებდეს. ამასთან, უნდა არსებობდეს სწავლის შუალედური შედეგების მკაფიო და გამჭვირვალე მექანიზმები;
2. მნიშვნელოვანია სახელმწიფო ენის ცოდნის შეფასებისა და დადასტურების მექანიზმების ამუშავება შემსწავლელთათვის;
3. მნიშვნელოვანია წახალისების ინსტრუმენტების შემუშავება სახელმწიფო ენის მცოდნე მასწავლებლებისთვის არაქართულენოვან სკოლებში და ამ მექანიზმების ასახვა მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სქემაში.
4. აუცილებელია არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისათვის დაისახოს გონივრული ვადა სახელმწიფო ენის ფლობის დადასტურებისათვის გამოცდის ჩასაბარებლად - მათი პროფესიული განვითარების ეტაპობრივი და რეგულარული უზრუნველყოფისათვის;
5. აუცილებელია არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთა პროფესიული უნარების განვითარებისათვის ტრენინგების ორგანიზება მათ მშობლიურ ენებზე;
6. აუცილებელია არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლებისათვის სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარების უზრუნველყოფა მათ მშობლიურ ენაზე;
7. აუცილებელია არაქართულენოვანი სკოლების ადმინისტრაციისათვის და პედაგოგთა პროფესიული განვითარების სისტემაში მიმდინარე რეფორმებისა და მოვლენების მიწოდება რეგულარულად, იმისათვის, რომ ისინი არ ჩამორჩნენ სისტემაში მიმდინარე პროცესებს;
8. რეკომენდებულია თანამშრომლობა სომხეთისა და აზერბაიჯანის წამყვან სპეციალისტებთან იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნეს სკოლებისა და პედაგოგებისათვის მიწოდებული მასალის ენობრივი გამართულობა, რაც, ერთი მხრივ, განათლების მაღალი ხარისხის, ხოლო, მეორე მხრივ კი - ეთნიკური უმცირესობების განათლებაზე გამოყოფილი თანხის ეფექტიანი ხარჯვის გარანტი იქნება;
9. მნიშვნელოვანია სომხურის და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის სტანდარტის შექმნა და მშობლიური ენის მასწავლებელთა საგნობრივი გამოცდის და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა სომხეთისა და აზერბაიჯანის განათლების სამინისტროებთან აქტიური თანამშრომლობით;
10. მნიშვნელოვანია სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარება სასკოლო შიდა შეფასებისა და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად; სკოლის დირექტორთათვის გასაგებ ენაზე ტრენინგების ჩატარება გარდამავალ პერიოდში;

11. მნიშვნელოვანია სკოლის დირექტორთათვის სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამის ამუშავება და მათი სახელმწიფო ენის კომპეტენციების შემოწმება;
12. მნიშვნელოვანია მასწავლებელთა გარე შეფასებისთვის არაქართულენოვანი სკოლების გარე შემფასებელთა გუნდის ფორმირება და მათი პროფესიული განვითარება, რათა გარე შეფასების ინსტრუმენტის მიღმა არ აღმოჩნდნენ არაქართულენოვანი სკოლები;
13. კერძო პროვაიდერების წახალისება არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებელთათვის პროფესიული განვითარების პროგრამების განსახორციელებლად;
14. სასკოლო ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, არაქართულენოვანი სკოლებიდან - მინიმუმ თითო სკოლიდან თითო ლიდერის შერჩევა და მომზადება, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო დონეზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას;
15. მულტილინგვური განათლების პროგრამის მასწავლებლის პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის სქემაში ალტერნატიული ინსტრუმენტების შექმნა;
16. მულტილინგვური პროგრამების მასწავლებელთათვის წახალისების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

მომავალი მასწავლებლების მომზადება

17. აუცილებელია არაქართულენოვანი სკოლების პედაგოგების ჩანაცვლებისა და არსებული და სამომავლო დეფიციტის აღმოსაფხვრელად, აბიტურიენტებისა და სტუდენტების დაინტერესება ბილინგვური განათლების პროგრამებით, რაც, ერთი მხრივ, მათთვის საშეღავათო პოლიტიკის ეფექტური გატარებით, ხოლო, მეორე მხრივ კი - დასაქმებისათვის გამჭვირვალე მექანიზმების შექმნით იქნება შესაძლებელი;
18. ენისა და საგნის ინტეგრირებული სწავლების მასწავლებლისათვის შესაბამისი სახელფასო კოეფიციენტის განსაზღვრა და მისი ასახვა მასწავლებლის ხელფასის ფორმირების წესში;
19. უმაღლესი განათლების ოცდაერთ პრიორიტეტულ მიმართულებაზე, რომლებიც ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, დაფინანსების გავრცელება საშეღავათო სისტემით ჩარიცხულ სტუდენტებზე, მათ შორის მასწავლებელთა განათლების პროგრამებზე;
20. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სომხურის და აზერბაიჯანულის, როგორც მშობლიური ენის მომავალ მასწავლებელთა მომზადების პროგრამების ამუშავების ხელშეწყობა და წახალისება;
21. უმაღლეს სასწავლებლებში მეორე ენის, მშობლიური ენის, საგნობრივი ბილინგვური მასწავლებლების მომზადების ხელშეწყობა და წახალისება;
22. უმაღლეს სასწავლებლებში ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მათემატიკისა და გეოგრაფიის მასწავლებელთა მომზადების პროგრამებზე სტუდენტთა მოსაზიდად დამატებითი ინსენტისების სისტემის შექმნა (სახელფასო დანამატი, სასტიპენდიო პროგრამა, დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა, საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა და ა.შ.).

ცხრილები და დიაგრამები

ცხრილები

- გვერდი 2 ცხრილი 1: არაქართულენოვანი საჯარო სკოლები რეგიონების მიხედვით, 2013 წელი
- გვერდი 3 ცხრილი 2: არაქართულენოვანი სექტორები რეგიონების მიხედვით
- გვერდი 8 ცხრილი 3: კომპაქტური განსახლების რეგიონებში არსებული არაქართულენოვანი სკოლების სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრირებულ მასწავლებელთა მონაცემები, 2010-2013 წლები
- გვერდი 8 ცხრილი 4: არაქართულენოვან სკოლებში სერტიფიცირებულ პედაგოგთა რაოდენობა (გარდა ქართულის პედაგოგებისა)
- გვერდი 13: ცხრილი 5: ასაკოვან პედაგოგთა გადანაწილება საგნებისა და რეგიონების მიხედვით
- გვერდი 16: ცხრილი 6: ერთი და იგივე მასწავლებელთა მიერ სწავლების საგნების კონკრეტული მაგალითები
- გვერდი 18 ცხრილი 7: მასწავლებელთა გადანაწილება საგნობრივი ჯგუფების მიხედვით
- გვერდი 19 ცხრილი 8: ქართულის, როგორც მეორე ენის სხვა საგნის მასწავლებლის მიერ სწავლების კონკრეტული მაგალითები
- გვერდი 21 ცხრილი 9- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები
- გვერდი 22 ცხრილი 10- სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები:
- გვერდი 22 ცხრილი 11- საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები:
- გვერდი 22 ცხრილი 12 ილიას უნივერსიტეტში სტუდენტების მიერ არჩეული საბაკალავრო პროგრამები

დიაგრამები

- გვერდი 4 დიაგრამა 1: არაქართულენოვანი სკოლის მასწავლებლები რეგიონების მიხედვით
- გვერდი 4 დიაგრამა 2. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა სქესობრივი სტრუქტურა
- გვერდი 5 დიაგრამა 3. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა ასაკობრივი სტრუქტურა
- გვერდი 11 დიაგრამა 4: მასწავლებელთა გადანაწილება ასაკის მიხედვით არაქართულენოვან სკოლებში
- გვერდი 11 დიაგრამა 5: მასწავლებლების ასაკობრივი გადანაწილება ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში
- გვერდი 15 დიაგრამა 6: მასწავლებელთა გადანაწილება არაქართულენოვან სკოლებში სწავლების საგნების რაოდენობის მიხედვით